




სურათზე: მსოფლიოს ოთხჯის ჩემპიონი რ. რურუა.

### ისევ რურუა, ამჯერად — მეოთხედ!

ელმონტონი, 7 ივლისი. საბჭოთა გოლიათების ტრიუმფალური გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკური ჭიდაობაში. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიხვეჭეს ოქროს 5, ვერცხლის 1, ბრინჯაოს 2 მედალი და კვლავ შეინარჩუნეს მსოფლიოში უძლიერესი გუნდის ტიტული.

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): გ. ბერჩიანუ (რუმინეთი), ოლიმპიური ჩემპიონები პ. კირიგი (ბულგარეთი) და ი. ვარგა (უნგრეთი), პ. ფუძიმოტო (იაპონია), ოლიმპიური ჩემპიონი რ. რურუა (თბილისი), ვ. იგუმენოვი (მოსკოვის ოლქი), ა. ნაზარენკო და ვ. რეზანცევი (ორივე — ალმა-ათა), პ. სვენსონი (შვედია), ა. როშჩინი (ლენინგრადი).

ვერცხლის მედალი წილად ხვდა მინსკელ ვ. ზუბკოვს (უზბეკეთის წონა), ბრინჯაოსი — ტაშკენტელ რ. კაჯაკოვს (ქვემსუბუქი) და როსტოველ ნ. იაკოვეცკოს (ქვემსხმე).



ტალინი, 7 ივლისი. სოციალისტური ქვეყნების 150-მდე ჭაბუკი ფელოსიპედიტი ციცილოდა აქ ერთმანეთს საერთაშორისო შეჯიბრების — „მეგობრობის“ ჩილიდებს. სტარტზე გამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის, პოლონეთის, კუბის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ტრეკსა და

## სსრკ-ის სპორტი

● **მოსკოვი, 6 ივლისი.** დღეს აქ დამთავრებულ მოსკოვის ტრენინგულ საერთაშორისო საქარდაკო ტურნირში ყველას აჯობეს საერთაშორისო დივიზიონის ტიპი ა. ლენინა და ო. მოსივევა — 8,5-8,5 ქულა 11-დან. მოსივევისთვის ეს წყვილი მეორე თვალსაჩინო წარმატებაა: ამას წინათ მან სსრ კავშირის 1970 წლის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ახლა კი ამ გამარჯვებამ საერთაშორისო ოსტატის წოდების მისანიჭებლად მეორე ბალი შესწავლა. უცხოელი სტუმრებიდან საუკეთესო იყო უნგრელი დიდიოსტატი ვ. პონფი, რომელმაც 6,5 ქულით III-IV ადგილები გაიყო საბჭოთა საერთაშორისო ოსტატი ო. შაიცივთან. პონფის გადაცემა ბიულეტენ „შახმატნაია მოსკოვა“ სპეციალური პრიზი — „უცხოელ მონაწილეობაზე საბჭოთა მოჭადრაკეებთან შეხვედრებში საუკეთესო შედეგისთვის“. მასპინძლებთან ექვს პარტიაში მან 2,5 ქულა დააგროვა.

● **ულიანოვსკი, 6 ივლისი.** დამთავრდა სსრ კავშირის I ჩემპიონატი ბალახის პოკეში. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ადგილობრივმა „ვოლგამ“. გადამწყვეტ მატჩში მან აქ ანგარიშით 2:1 დაამარცხა „ფილი“ (მოსკოვი).

● **ლაიპციგი, 6 ივლისი.** ცხენის გახედვაში მსოფლიო ჩემპიონს, მოსკოველ ვ. ბეტულოვს ბადალი არ ჰყავდა „გერ-ის დიდი პრიზი“ ლია გათამაშებაში. II ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. კოზიმოვმა.

● **ბელგრადი, 6 ივლისი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგურმა მატჩმა. ანგარიშით 572,05:563,40 გაიმარჯვეს სტუმრებმა. მაგრამ პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ცნობილმა იუგოსლავიელმა სპორტსმენმა შ. ცერარმა — 114,95 ქულა. მოსკოველი მ. გორინი გამარჯვებულს სულ 0,05 ქულით ჩამორჩა.

● **როსტოკი (გერ.), 6 ივლისი.** თითქმის სამი საათი გაგრძელდა ორი მოსკოველი ჩოგბურთელის — ვ. ეგოროვისა და შ. ტარპიშვილის ფინალური ორთაბრძოლა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. გამარჯვება ტარპიშვილმა. დაქანტულმა სპორტსმენებმა წყვილთა ფინალში სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს რუმინელებს მარკსა და სანტენს და დამარცხდნენ.

● **სოფია, 6 ივლისი.** მხატვრულ ტანვარჯიშში, სსრ კავშირისა და ბულგარეთის აქ გამართული ნაკრები გუნდების შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 146,90:140.

გზატყვევებულ გამართულ ასპარეზობებში ყველაზე დიდი ნადავლი მასპინძლებმა მოიპოვეს — ოქროს 6, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 4 მედალი. პ. ტამულიანისმა, ი. კუჩერიაევი, ნ. შიშინოვიჩმა და ვ. ეგოროვმა ყველას აჯობეს 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში — 4,44,41, სპრინტში ბადალი არ ჰყავდა ვ. კოპილოვს, ხოლო 1 კილომეტრზე ადგილიდან გიტში — ა. ვლოდინს — 1,10,81. 132 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში პირველი იყო ა. კრასკოვი — 3:17,32,1, ხოლო 80 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში — სსრ კავშირის ნაკრები (კრასკოვი, ა. ლაუშკინი, ა. კაშჩინი, ვ. გოლუბევი) — 1:52,07,2. უცხოელ მონაწილეობაზე მსოფლიო რ. შპლისკარტმა (გერ.) იხვემა გამარჯვება: ოქროს მედალი მოიგო 4 კილომეტრზე გამოდევნებით პირად რბოლაში — 5,13,86.

**ერვუბრტი, 6 ივლისი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატში დიდი წარმატებას მიაღწია პეტერ ფრენკელმა. მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — 1:25,50. ეს შედეგი თითქმის წუთით სწობს საბჭოთა მძლეოსან გ. აგაპოვის ძველ მიღწევას (1:26,45,8).

ამავე შეჯიბრებაში ანელი იანსმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე თარგბენში — 25,8 წამი.

პროლეტარიატო ყველა ძველსა, უნარით

# 204

№ 132 (4126) 1970 წ. ივლისი, ოთხშაბათი. შანი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

**ЛЕЛО** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

### მატჩი — თბილისში

მოსკოვი, 7 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს აქ, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში, მოხდა საბჭოთა კავშირის თანხის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის მონაწილეთა — თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ კენჭისყრა შეხვედრის ჩატარების ადგილზე.

ეს თამაში გაიმართება თბილისში. თარიღი ადრე იყო დადგენილი — 25 ივლისი.

### წლის მუსრიბუნი: ურენაურტი

სოფია, 6 ივლისი. ფრენბურთელთა შიშველ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ბულგარეთის რამდენიმე ქალაქში გაიმართება 20 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე, სსრ კავშირის ქალთა ნაკრები პირველ მატჩს ჯგუფში

გამართავს პერუს სპორტსმენებთან, სოლო ვაჟთა ნაკრები — ტურნის წარმომადგენლებთან. ეს ცნობილი გახდა კენჭისყრის შემდეგ, რომელიც ფრენბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პ. ლიბოს თანდასწრებით მოეწყო.

ორივე საბჭოთა ნაკრები IV ჯგუფში მოხვდა. ქალთა გუნდი შეხვედრა, აგრეთვე, უნგრეთისა და ბრაზილიის კოლექტივებს, ვაჟთა კი — მსოფლიოს თანხის მფლობელებს — გერმანიის წარმომადგენლებს, მონტენეგოს, კუბისა და გვინეის გუნდებს.

მოვლავს სხვა შესარჩევი ჯგუფების შემადგენლობაში:

ქალაქი. I ჯგუფი — მონტენეგო, საკავალიფიკაციო ტურნირში გამარჯვებული, ბულგარეთი, გერმ. II ჯგუფი — იაპონია, პოლანდია, მექსიკა, ჩეხოსლოვაკია; III ჯგუფი — საკავალიფიკაციო ტურნირში გამარჯვებული, პოლონეთი, აშშ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

პაშვი I ჯგუფი — ბულგარეთი, ბელგია, ირანი, იუგოსლავია, ისრაელი, იტალია; II ჯგუფი — საკავალიფიკაციო ტურნირში გამარჯვებული, აშშ, ჩეხოსლოვაკია, ბრაზილია, უნგრეთი, პოლონეთი; III ჯგუფი — კორეული, ხაუნანგეთი, იაპონია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი და საკავალიფიკაციო ტურნირში გამარჯვებული.

შემოსვენებულ საკავალიფიკაციო ტურნირებში, რომლებიც ჩემპიონატის ფინალური თამაშების წინ მოეწყობა, მონაწილეობას მიიღებენ რუმინეთის, იტალიის, ბელგიის, კუბისა და გერმანიის ქალთა და ფრენთის, პოლანდიის, ესპანეთის, გერმანიის, საბურთეთისა და თურქეთის ვაჟთა გუნდები.

## ჩვენს მიმუხსნებელს

### ქრევენი „ზალიონია ლუკრევი“

მთხასმა ავტო-მოტოტურისტმა მოიყარა თავი სკავშირო შერეობაზე „ზელიონია ლუკრევი“ კემპინგში, ორიოლთან. პროგრამაში შედიოდა დიდი რაღი, რბოლა რთული მარშრუტით, შეჯიბრება ტურისტულ მრავალბილიში.

შეჯიბრებაში 11 მოკავშირე რესპუბლიკის, რსფსრ-17 ოლქის, მოსკოვისა და ლენინგრადის 58 გუნდი მონაწილეობდა. ორიოლში საბჭოთა სპორტსმენების სტუმრები იყვნენ ბულგარელი ავტოტურისტები, რომლებიც ევროპისა და სსრ კავშირის ლენინურ ადგილებში აწყობდნენ ლაშქრობას.

შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა ლატვიის გუნდმა. გამარჯვებულს გადაეცათ ცენტრალური ავტო-მოტოკლუბის თასი — „მერთიანობა და ძმობა“. ოლქების გუნდებისთვის დაწესებული პრიზი — „მოგზაურობა-სა ხოლ“ — მოიგეს ივანოვოს ოლქის სპორტსმენებმა. საკლუბო გუნდებს შორის პირველობა დანერპოტროვსკის ნაკრები. იგი დაჭილდოებულია პრიზით „ალასფერი ფოთოლი“. სპეციალური პრიზი — „მოძრაობის უსაფრთხოებისთვის“ — მიიღეს ბალაოვოს (სარატოვის ოლქი) სპორტსმენებმა.

და აი, ტურისტების მანქანები კვლავ გამოვიდნენ სტარტზე. მათ კურსი აიღეს ბუტოვსკენ (მოსკოვის მიდამოები), სადაც ამ დღეებში ფინიში ექნება კომპაგნიერეთა და ახალგაზრდობის სკავშირო ლაშქრობას რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

ა. აოლუზინი.

ორიოლი.

### „კილი“, „ისტანბა“, „კოპანი“

ქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტმა ნ. სანიკოვმა იაკუტისა და რსფსრ-ს ახალი რეკორდი დაამყარა „ისტანბაში“ (11 ნახტომი სიგრძეზე სხვადასხვა ფეხით) — 44,18 მ.

სანიკოვმა ეს წარმატება იაკუტის ასსრ ხალხთა VI საზაფხულო სპორტკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში მოაოვა. მან გააუმჯობესა რეკორდი სამჭიდის ჯამშიც — 126,04 მ: „კილი“ (11 ნახტომი ცალ ფეხზე) — 44,45 მ, „ისტანბა“ — 44,18 მ, „კოპანი“ (ორივე ფეხით სტემა) — 37,41 მ. იაკუტთა ერთგული სახეობები ამ ბოლო ხანს პოპულარული გახდა რსფსრ-ს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

დ. გუბაიკინი.


იაკუტსკი.

### განსჯადი სელიონი

სისრაშაში გამოცლა წარმატებით ჩააბარა ბელორუსიის მეორე სტადიონის რეზინ-ბიტუმის ბილიკმა. სარბელზე გამოვიდნენ მასპინძლები — სტუდენტები. 100 მეტრზე რბენაში ა. სპირნოვამ 11,6 აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ოსტატის ნორმამდე წამის მეათედი დააკლდა ა. სემენეცკოს — 10,4.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ურეველო ჩილიდები მიიღეს: სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა, ამ სასწავლებლის ყოფილმა სტუდენტებმა მ. იტკინამ და ა. იულიანამ მათ გადასცეს თავიანთი პრიზები — ერთ ღრის სარბენ ბილიკზე-მოპოვებული ჯილდოები.

მინსკი. 3. ლუკოვი.



# უხვი მოსავალი

ქუთაისი, 6 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). „ლელო“ უკვე წერდა, რომ აქ მწვეობრში ჩადა „განთიადის“ აუზი — რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობა. გუშინ ამ ბაზაზე სტარტი აიღო პირველმა დიდმა შეჯიბრებამ — საქართველოს მოცურავეთა ჩემპიონატმა. აუზის დირექციამ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების, აგრეთვე, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის დახმარებით ყველაფერი იქონა, რათა ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

აუზის ბილიები „სწრაფი“ გამოდგა; დილით ორ სასეზონაში — 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 6 რეკორდი გაუმჯობესდა. ამას გარდა, შეივსო სპორტის ოსტატთა რიცხვი.

ტურნირში მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, ჭიათურის სპორტსმენები. ისინი სამ ასაკობრივ ჯგუფად არიან დაყოფილი: 13-14, 15-16, 17 წლისა და უფროსი ასაკის მოცურავეები. შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ტარდება და ამიტომ სტარტზე მხოლოდ ღირსეული დაუშვს.

## თინათინ ლეკვიშვილის სპარტაკიადის რეკორდი

ასალ აუზში მესტარტის პირველი გასროლა 800 მეტრზე მოცურავე გოგონების ასპარეზობის დაწყების ნიშანი გახლდათ. თავიდან მ. ფერინდელის (აჭარა) დაწინაურდა, მაგრამ მალე მან დიდიწონის დაუთმო თბილისელს ი. ბოგდანოვასა და გ. შაგიდულოვას. ფერინდელს გაუსწრო ტურნირის ყველაზე ნორმა მონაწილემ, ჭიათურის რუსული სკოლის მეექვსეკლასელმა, 12 წლის ლ. ნებერიძემ (აფხაზეთი), რომელიც სულ 2 წელია ფარჯობს. ნებერიძე ტექნიკაში ჯერ კიდევ მოიკოტლემს, მაგრამ ნაკლებ შესაშური მონდობითა და კარგი ფიზიკური მოზადებით ავსებს. ბოლო 100 მეტრზე მან ტემპს კიდევ უფრო უმატა, მაგრამ ლიდერებს ვეღარ დაეწია და III ადგილს დასაჯერდა. პირველობა ბოგდანოვას დარჩა — 12.16.0.

ამავე დისტანციაზე გამარჯვებისთვის 17 ჭაბუკი იბრძოდა. ჭიათურელმა აქაც გამოიჩინა თავი — მ. გრიგორიევი (აფხაზეთი) 11 ადგილი დაიკავა — 10.47.8. გამარჯვებულმა — თბილისის დინამოელმა ს. მაკაროვმა ჭაბუკთა ორი რესპუბლიკური რეკორდი გაუმჯობესა: „გზად“ 400 მეტრზე 5.03.0 აჩვენა, 800 მეტრი კი 10 წუთსა და 14 წამში გაკურა.

რესპუბლიკის უძლიერესი მოცურავეები დიდხანს ამაოდ ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ საქართველოს ქალთა რეკორდი 800 მეტრზე თავისუფალი


სტილით ცურვაში (11.12.7), რომელიც 1962 წლიდან თბილისის დინამოელს ი. ამინაშვილს ეკუთვნოდა. ასალი მიღწევის ავტორი 16 წლის თინათინ ლელო (სპარტაკი) გახდა. ბათუმის მე-5 სკოლის მეცხრეკლასელი გოგონა 4 წელია ნ. რისტომსკიას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. ქუთაისის აუზი მისთვის იდბიანი გამოდგა. დიდიმე სტარტიდანვე დაწინაურდა და, როცა 400 მეტრი გაკურა, წამწომებმა აჭარის ქალთა ასალი რეკორდი (5.32.9) აღნიშნეს. 500 მეტრის შემდეგ იგი მეტოქეთ 55 მეტრს უგებდა, ხოლო, როცა შეჯიბრება დაამთავრა, აღმოჩნდა, რომ საქართველოს ასალი რეკორდიც (11.11.3) დაემყარებინა. თანაც, ნიჭიერმა სპორტსმენმა I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

დილის პროგრამის ბოლო აკორდი იყო ვაჟთა შეჯიბრება 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. სტარტამდე საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის მოცურავეთა მთავარმა მწვრთნელმა გ. გოიაშვილმა განმარტოვებულს სპორტის ოსტატის სახელის მოპოვებისთვის იბრძვის. თბილისის 56-ე სკოლის მეცხრეკლასელს ი. ლიხუცის მოცურავეობის დამახასიათებელი ფიზიკური მონაცემები როდი აქვს. სამაგიეროდ, იგი მწვრთნელის, სსრ კავშირის დამახასიათებელი მწვრთნელის ი. იოაკიმიძის ყველა რჩევას გულმოდგინედ ასრულებს. ადრე ლიხუცემა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდებს დაეუფლა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა და თამამად შეეძლო სპორტის ოსტატობაზეც ფიქრი.

სტარტამდე ცნობილი გახდა, რომ აუზის დირექციამ ამ დისტანციაზე გამარჯვების დასახლოებულად ცნობილი მარათონელი მოცურავეს მამია ბედიას სახელობის პრიზი დააწესა. შეჯიბრება დაიწყო და სულ მალე ლიხუცეც მხოლოდ წამწომებსა გებრძოდა.

ლიხუცემ 800 მეტრი 9 წუთსა და 29.7 წამში გაკურა, რაც საქართველოს ჭაბუკთა ასალი რეკორდი და ძველ მიღწევას, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, 25.3 წამით სჯობს! — გამოაცხადა მსაჯმა ინფორმატორმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. დათაძემ. სპორტსმენს კი დადლა არ ეტყობოდა. დარჩენილი 700 მეტრი მან 8 წუთსა და 26.9 წამში გაკურა, საბოლოოდ კი 17.56.6 აჩვენა (მისივე ძველი რეკორდი 18.45.0 იყო) და საგრძნობლად გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმატივს.

ასეთი უხვი მოსავლით შესვენდნენ სპორტსმენები ჩემპიონატის საზეიმო გასასას, რომელიც საღამოს შედგა. მონაწილეთა მიხედვით ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამახასიათებელი მწვრთნელი გ. სვანიძე, შემდეგ „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ და საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ, სსრ კავშირის დამახასიათებელმა მწვრთნელმა, სპორტის დამახასიათებელმა ოსტატმა მ. ქლენტიამ საკავშირო და საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელები გადასცეს ყველას, ვინც თავი გამოიჩინა აუზის მშენებლობაში.



ასალი ბაზის საზეიმოდ გახსნის აღსანიშნავად ბაფთა გადაჭრა ქუთაისის ქალკის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ცვიკინიძემ. თ. ლეკვიშვილმა, ა. იოაკიმიძემ და ი. ზოტოვამ ჩემპიონატის აღმამი აღმართეს.

პირველობა გაგრძელდა და რეკორდების რიგები კიდევ უფრო გაიზარდა. ქუთაისელი განსაკუთრებით თანაქალაქელის, სპორტის ოსტატ ი. ზოტოვას („განთიადი“) წარმატებამ გაახარა. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში მან თავისივე რესპუბლიკური რეკორდი (1.06.4) ერთბაშად 0.6 წამით გაუმჯობესა. ამ დღეს დაეწყო 11 წლის წინ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდიც. 200 მეტრზე ბრასით ცურვაში თბილისელმა ლ. მარანიამ („დინამო“) ლ. კრილოვას ძველ მიღწევას (2.59.0) უსეტად 4 წამი „ჩამოაჭრა“ და ამ დისტანციაზე სპორტის ოსტატის ნორმატივზეც პირველად შეასრულა.

გალში არც აჭარის გუნდის წევრი მ. გორბუნოვა („სპარტაკი“) დარჩა. 200 მეტრზე ბატყფლათით ასპარეზობაში მან საკუთარი რესპუბლიკური რეკორდი (2.50.7) 5.8 წამით გაუმჯობესა.

დილის ბოლოს ნაკრებმა გუნდებმა საქართველოს რეკორდებზე მიიტანეს იერიში. ექვსიდან ხუთი ცლა წარმატებით დამთავრდა. ვაჟთა კვარტეტმა (ს. მატყევი, ა. იოაკიმიძე, ნ. ზემლიანუხინი, ვ. სნიშჩიკოვი) 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით 3.58.4 აჩვენა. ეს ძველ მიღწევას 1.5 წამით სჯობს. ჭაბუკთა გუნდმა (ვ. თხორი, ვ. გონაროვი, ა. კლიმენკო, ვ. გრიგორაშჩენკო) ძველი რეკორდი (4.06.9) 4.01.5-მდე დაიყვანა. ბიჭებმა კი (თ. ბახუტაშვილი, ს. მაკაროვი, ა. ბუკაშკინი, მ. გრიგორიევი) უმცროსი ასაკის სპორტსმენთა ასალი რეკორდს (4.24.2) დაბადება იხვემს.

ამავე ესტაფეტაში ქალთა (თ. დოლიძე, ი. ზოტოვა, ი. კოსტოშენკო, მ. ყულიჯანოვა) გუნდმა რესპუბლიკური რეკორდს (4.47.0) მ.8 წამი ჩამოაჭრა — 4.38.2 აჩვენა. გოგონების კვარტეტის (ი. ბოგდანოვა, რ. მიქაძე, ვ. პროსკურინა, ი. მარგვილი) შედეგია 4.51.1, ძველი რეკორდი კი 4.56.1 იყო.

ერთ დღეში ამდენი რეკორდი მართლაც უხვი მოსავალია!

იმედოვანი გვაქვს, პროგრამის დანარჩენ სახეობებში შეჯიბრებები უფრო საინტერესო იქნება.

ქუთაისი, 7 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ, შეჯიბრების მეორე დღეს, მოასპარეზებმა კიდევ 5 რეკორდი გააუმჯობესეს, რომელთაგან ორი სსრ კავშირის ძველ რეკორდებს სჯობს: 200 მეტრულმა თბილისის დინამოელმა თინათინ ლეკვიშვილმა 2 წუთსა და 29.6 წამში გაკურა, ხოლო ბათუმელმა ვ. კრასკომ („დინამო“) ოცივე მანძილი იმავე სტილით — 2 წუთსა და 14 წამში. ეს შედეგი სსრ კავშირის ჭაბუკთა ასალი რეკორდია, თანაც კრასკომ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ს უ რ ა თ ე ბ ე ე: საქართველოს რეკორდსმენები ი. ზოტოვა (ზევით) და ლ. მარანიამ შეჯიბრების დროს.

# სსრ კავშირის თასი ჭაბუკებს

1-21 აგვისტოს კალინინგრადში (ქალები) და დნებაროპეტროვსკში (ვაჟები) სტარტს აიღებს ქალაკში სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების ნახევარფინალები. ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ქალაკის ფედერაციამ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდური პირველობის მატყერ შემაილო.

თასი ოლიმპიური სისტემით გათამაშდება (წაგებული ეთიშება შეჯიბრებას). თითოეულ ნახევარფინალში 64 მოჭადრაკე გამოვა. ასპარეზობა ოთხ ტურად ჩატარდება. მონაწილენი წყვილებად დაიყოფიან. თითოეული წყვილი ერთმანეთში მიტრომატის (4 მარტია) გამართავს. თუ ორთაბრძოლა ყაბით დამთავრდა, მაშინ დამატებით მეხუთე მარტია დაინიშნება. თუ ეს მარტიაც ყაბით დამთავრდება, კენჭისყრა გამოავლენს გამარჯვებულს, რომელმაც ბრძოლა უნდა განაგრძოს შემდგომ ტურებში.

1-13 ოქტომბერს მოსკოვში ერთდროულად შედგება ქალთა და ვაჟთა ფინალი. აქც მიტრომატები (მხოლოდ ორი ტური) გამართება.

ნახევარფინალში მიწვეულია 16 დიდასტატი, რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა გარკვეული რაოდენობა. თამაშის სურვილი უკვე გამოთქვეს დიდოსტატებმა ლ. ბრონშტეინმა, ა. გიბსლისმა, ა. ზაიცევმა, ს. ფერმანმა, ა. ანტონინმა, ა. ლუტიკოვმა, ე. გუფელოვმა და სხვ. ქალთა ნახევარფინალში მიწვეულია ყველა ოსტატი, აგრეთვე უძლიერესი მოჭადრაკეები რესპუბლიკებიდან. დნებაროპეტროვსკში თამაშს აპირებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 68 წლის ლ. რუდუეხო, სავრთაშორისო ოსტატები ვ. კოზლოვსკია, ვ. ბორისენკო, ი. იგნატევი, ლ. ვოლპერტი, ი. გურაფინკელი და სხვ.

საქართველოდან მოსალოდნელია შეჯიბრებაში რ. ჭინჩიასვილის, ე. უბილაგის, თ. გიორგაძის, ც. კობაიძის, თ. ხუგაშვილის, ც. კახაბროშვილის და ნ. ჩიქოვავის მონაწილეობა.

## რეკონსტრუქციის

### ◆ აღიგანი

დამთავრდა რაიონული საიუბილეო V სპარტაკიადი, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, კალაბურთი, ფერხბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, კლარაფი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი.

I ადგილი და გარდაამავალი თასი მოიპოვა აბასთუმის საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივმა. II ადგილზე არიან ვარსის, III — უდეს ნაკრები გუნდები.

### ◆ აოგულეთი

რაიონის სოფლის სკოლებს მძლეოსნობა შეჯიბრებაში 21 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობა მოეწყო სამ ასაკობრივ ჯგუფად: 1955-56, 1957-58 და 1959-60 წლებში დაბადებულთა შორის.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა მუხანსტატეს საშუალო სკოლის კოლექტივმა, რომელმაც 219.5 ქულა მოაგროვა. II ადგილზე ზედა ულიანოვის საშუალო სკოლის გუნდი — 219. მესამე იყო აჭყვისთავის საშუალო სკოლის კოლექტივი.

შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ჩაისუზნის სკოლა-ინტერნატის, ჩაისუზნის, ქაქუთის საშუალო სკოლებისა და სხვა გუნდებს.

### ◆ ბალი

ადგილობრივ სტადიონზე დამთავრდა შეჯიბრება „ტყაუის ბურთის“ პრიზზე. უმცროს ასაკში გაიმარჯვა მელიას ქუჩის „სხივმა“, რომელმაც გადამწყვეტი მარტი მოუგო ქუბურხინის გუნდს — 2:1. უფროს ასაკში წარმატება წილა ზედათ საბჭოს ქუჩის ფეხბურთელებს. ისინი „სიკის“ სახელით გამოდიოდნენ.

### ◆ მამულაშვილი, სპორტსკოლის დირექტორი

### ◆ გალი

ადგილობრივ სტადიონზე დამთავრდა შეჯიბრება „ტყაუის ბურთის“ პრიზზე. უმცროს ასაკში გაიმარჯვა მელიას ქუჩის „სხივმა“, რომელმაც გადამწყვეტი მარტი მოუგო ქუბურხინის გუნდს — 2:1. უფროს ასაკში წარმატება წილა ზედათ საბჭოს ქუჩის ფეხბურთელებს. ისინი „სიკის“ სახელით გამოდიოდნენ.

### ◆ მამულაშვილი, სპორტსკოლის დირექტორი

## სასარგებლო ღონისძიება

ამას წინათ თბილისში ჩატარდა „ერთობითი რეკონსტრუქციის“ ცენტრალური საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს პლენუმი. მსჯელობის საგანს ფიზკულტურაზე ზრუნვა წარმოადგინა. პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს ორი საკითხი: პროფტექნიკური განათლების სისტემის სკოლებისთვის ფიზკულტურაში ასალი საართო-

რამო მასალის მოზადება და გამოშვება; პროფესიულ-გამოყენებითი ფიზკულტურის კვლევის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და პროფტექნიკური განათლების სისტემაში ამ პრობლემის შემდგომი შესწავლის გზები. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. შელუდკოვამ (მოსკოვი),

ხოლო მეორე საკითხზე — მეცნიერების დამახასიათებელმა მოდელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, მოსკოვში პროფესორმა ა. ბერნშტეინმა (სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე). პლენუმზე მოხსენებებით გამოვიდნენ ა. გორჩაკოვი (მედიკოგიკური მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, მოსკოვი), ლ. ბურაკი (პროფტექნიკათმცოდნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლენინგრადი), ს. პოლიევსკი (მედიცინის მე-

ცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვი), ივანინი (ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მედიკოგიკური მეცნიერებათა კანდიდატი), მ. პარიღენი (სამეცნიერო-მეთოდური საყრდენი პუნქტის ხელმძღვანელი, მინსკი), გ. ათაბეგოვა (ფიზკულტურის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, მოსკოვი) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს არსებობის მოკლე ისტორია აქვს, მან უკვე ნაყოფიერი მუშაობა გასწავა. უნდა აღინიშნოს, რომ „ერთობითი რეკონსტრუქციის“ ცენტრალური საბჭოს სხვადასხვა რესპუბლიკასა და ქალაქში გახსნილი აქვს სამეცნიერო-მეთოდური საყრდენი პუნქტები, რომლებიც ფიზკულტურის საკითხებზე მუშაობენ. ასეთი საყრდენი პუნქტის გახსნა გათვალისწინებულია თბილისშიც, რაც, ფიქრობთ, დიდად შეუწყობს ხელს ფიზკულტურის დარგის მუშაობას.

# აღდგენილი კოზიციები



## კალენდარი

6 ივლისს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო თამაში მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა გერმეოვიჩმა.

სრული უპირატესობით ჩაატარა შეხვედრა თავის მინდორზე „სტეფანინი“ „არარატთან“. სტეფანინი-ელებმა, ბანიშვილისა და გვაგიუაძის სამ ბურთს ერგებულმა ვერაფრით უპასუხეს.

„ზარია“ შინ დამარცხდა მოსკოვის „სპარტაკთან“ — 0:2. ბურთები ვორონილოვს და ვიქტორენკოს გაიტანეს ოლშანსკიმ და ვიქტორენკომ.

მინსკის დინამოელებმა დამარჯობეს გამარჯვებას მიადღეს „ზენიტთან“ შეხვედრაში — 5:1. ტოლიაშვილს, სასაროვის, გირკოს, ვასილიევისა და ფოკინის ხუთ ბურთს ლინინგრადელებმა უპასუხეს მხოლოდ ერთით (ბურნაჩიკინი).

გათამაშების სენსაციად შეიძლება ჩათვალოს მატჩის შედეგი დონეცკში ადგილობრივ „სახტორსა“ და ორჟონიკის „სპარტაკს“ შორის. დონეცკელები შინ იმეფებოდნენ მარცხდებიან, ახლა კი მათ ვერაფერი გააწყის დეპუტატანთან და დიდი ანგარიშით წააგეს — 1:4. 2-2 ბურთი სპარტაკელებთან გაიტანეს ტუაფემა და კაიშაურმა, ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო კონკოვი. ეს ორჯონიკელებმა პირველი გამარჯვება ჩემპიონატში.

დაბოლოს, მატჩი როსტოვში, სადაც ადგილობრივი არმიელები სვედუბოვნი მოსკოვის „დინამოს“ ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ჩემპიონატის საუკეთესო გომარაღირა მოსკოვის „დინამოს“ ცენტრფორვარდი ვ. კოზლოვი — 10 ბურთი. II ადგილზეა თბილისელი გ. ნოდა — 7.



## სანდერსო ნარკვევები

ქართული ლიტერატურა არც ისე მდიდარია ნამუშევრებით აღმნიშნის ჯანმრთელობისთვის სამკურნალო ტანვარჯიშის მნიშვნელობაზე და ტანვარჯიშის მეთოდების გამოყენებაზე სხვადასხვა ავადმყოფობის დროს. ჩვენს მოსახლეობის კულტურული დონის სწრაფმა ზრდამ კი დიდი ხანია დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული საკლის გამოსწორების აუცილებლობა და აი, სწორედ ამიტომ „სამბოთა საქართველომ“ მეტად დროულად გამოსცა ექიმ ქ. ჟღერტისა და მეთოდისტ რ. კველიაშვილის ორი ნარკვევი: „სამკურნალო ტანვარჯიში წვივის ძვლების მოტეხილობის შემდგომ პერიოდში“ და „სამკურნალო ტანვარჯიში სახსრების ქრონიკული ანთების (პოლიართრიტი) და მადეფორმირებული სპონდილოზის დროს“.

პირველ ნარკვევში განმარტებულია სამკურნალო ვარჯიშების ორი კომპლექსი დაზიანებული კიდურების მოშლილი ფუნქციის აღდგენის მიზნით. პირველი კომპლექსი ემზადებულია მუცლის შეზღუდვის პერიოდში, როცა დაზიანებული ქვემო კიდური მოთავსებულია რაბაშირის სახვევში. ამ პერიოდში გამიზნული ვარჯიშები შეაბამისად დონორებულა დაზიანებული ქვემო კიდურის მართობა და სწორად შენარჩუნება სუნთქვით ვარჯიშებთან. გაცილებით უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ტანვარჯიშის მეორე კომპლექსი. ეს გასაგებდება, ვინაიდან ამ კომპლექსის

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 6 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 1:0 (0:0).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილაძე, ხინაგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდა, ლ. ნოდა.

ცსკა: შამუცო, ისტომინი, შესტერნიოვი, აფონინი, კალინინი, მახლიაველი (პოტაშევი), დუდარენკო, კოპეიკინი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, უიგუნოვი.

მსჯი ტ. ბახრაძე (ბაქო).

დუბლიორები — 1:1.

სულ ორიოდე წუთი იყო გასული მატჩის დაწყებიდან და ადვილად შეიძლება შეხვედრა ორჯერ განსლებულიყო: ჯერ პოლიკარპოვმა ვერ გამოიყენა ისტომინის მიერ მარჯვენა ფლანგიდან შესრულებული საუკეთესო გადაცემა, მერე კი გავაშვილმა ვერ მიუსწრო ლ. ნოდის მოწოდებულ ბურთს კარის წინ, სადაც მას არავინ ჰყავდა ხელის შემშლელი.

შემდგომ სამ წუთში ცსკა-ს კარი კიდევ შეიღო ორჯერ გადაარჩა ისეთივე ნაღვ გოლს, როგორც ზევით აღწერეთ, მერე კი პოლიკარპოვი წამით დარჩა უმეთვალყუროდ საყვებით ღია პოზიციაში და ურუშაძემ ბოლო მიმენტში მიუსწრო კარში უძლიერესი ძალით დარტყმულ ბურთს.

აი, ასე, თითქმის სადემონსტრაციო სტილში დაიწყო მატჩი, რომელსაც ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებსთვის. ფუნდურტელებში არ იგრინობოდა შებოროტობა და ნერვიულობა, შიში მოსალოდნელი შეცდომის გამო, რაც ხშირად ასასიათებს ამგვარი მატჩების დასაწყისს. ორივე გუნდის მხრივ მინდორზე იყო სსრ კავშირის ნაკრების 9 წარმომადგენელი, რომლებმაც ტენი

მისცეს თავიანთ პარტნიორებს, რომ ეთამაშათ თამაშად, გაშლილად, ხშირი იერიშებით.

არმიელებმა შუა მინდორის საფუძვლიანი დაპატრონება განიზრახეს. მასლიაველი, ფედოტოვი, დუდარენკო, პოლიკარპოვი ამ ზონაში იწყებდნენ მრავალსლოანი კომბინაციებს იმ მიზნით, რომ შეტევის დასასრულისთვის რომელიმე მათგანი კოპეიკინს და უიგუნოვს შეერთებოდა გადამწყვეტი დარტყმისთვის. ეს ტაქტიკა ასალი არაა არავისთვის, მით უმეტეს, თბილისის „დინამოს“ მცველთათვის. მაგრამ საქმე ისაა, ვინ როგორ ასრულებს ასეთი სიბრთხის კომბინაციებს. მოსკოველები დამარჯობდნენ, ზუსტად მოქმედებდნენ მინდორის შუაგულში, ყურადღებით ახორციელებდნენ საიერიშო კომბინაციებს, მაგრამ შედგომში, უკვე შეტევის დასაწყისში, მათ მაინც აკლდათ ძალა შედგის მისაღწევად. თბილისელები მუდამ პოლობდნენ საშუალებას, რომ მოესდინათ ძალთა გადაჯგუფება დაცვაში, შექმნათ რიცხობრივი უპირატესობა და ყველაზე სახფაით მომენტში კი პოლობდნენ მეტოქეზე ერთი კაცით მეტ ბოლო დარტყმის დროს. ხურცილაძეს, ძოძუაშვილს, ხინაგაშვილს და სხვებს დიდი ჯაფა დაადათ, მაგრამ ფაქტორ ფაქტია: მათი კარი ხელშეშებული დარჩა, თუმცა იყო პერიოდები, როცა „დინამოს“ თავდასხმელები აღუნიშნდნენ ბრძოლას წინა ხაზზე და ცსკა-ს ხანგრძლივი შეტევის შესაძლებლობა ეძლეოდა.

თბილისელებს ამ მატჩში წმინდა წყლის თბი ფორვარდი ჰყავდა, რომლებსაც არც ერთ საიერიშო ეპიზოდში არ ჩამორჩენია ასათიანი და, თუ ავიღებთ ორივე კართან შექმნილ სახფაით მომენტებს, გოლის გატანის საერთო შესაძლებლობებს, თბილისელებს ისინი შეუდარებლად მეტი ჰქონდათ, ვიდრე არმიელებს და მათ სულ იოლად შეეძლოთ გაცილებით უკეთესი ანგარიშიც ჰქონოდათ. რად ღირს თუნდაც ერთი მომენტი: 67-ე წუთზე, როცა

დინამოელები უკვე იგებდნენ მატჩს, მეტრეველი გაეჭია მცველებს ცენტრში და პირისპირ დარჩა მკვარე შუგუთნს. მეტრეველს, ალბათ, ჯერ არასდროს გაუშვია ხელიდან ასეთი ხელსაყრელი მომენტი, ახლა კი გაუშვა.

დინამოელთა შეტევა ძირითადად მარცხენა ფლანგიდან წარმოებდა. ლ. ნოდის წინააღმდეგ აქ თამაშობდა გამოცდილი მეტოქე და ცნობილი სტატი ისტომინი. მოსკოველი მცველი ამ დღეს მოწაფისავით გამოიყურებოდა თავისი ასალგაზრდა თბილისის წინაშე და ვერაფერი მოუხერხა მას. მცველისა და ვარჯიშის ორთაბრძოლა სისტემატურად იმით მთავრდებოდა, რომ ისტომინს შეპირად ჰქონდა დასწავლილი ლ. ნოდის ზურგზე დაწერილი ციფრი — 11.

გოლიც ლ. ნოდის მიერ იყო „ორგანიზებული“. 61-ე წუთზე მან რეიდი ისევ უხაკლოდ შეასრულა, მიაწოდა ცენტრში და გ. ნოდამ თავური დარტყმით ბურთი ბადემი გაგზავნა.

ეს გოლი ერთადერთი აღმონდა, თუმცა თბილისელები არ უნდა დასჯერებოდნენ მას. გუნდმა კარგად ჩაატარა მატჩი ლიდერთან, დამსახურებულად

გაიმარჯვა, მაგრამ ეს მოგება უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, გუნდს უკეთ რომ გამოეყენებინა თავისი საერთო უპირატესობა და მოპირდაპირე კართან შექმნილი საგოლე მომენტები.

ახლა, ვორონილოვსა და ბაქოში დაკარგული 3 ქულის შემდეგ, დინამოელებმა კვლავ აღიღინეს სალიდერო პოზიციები და იმედი უნდა ვიქონიოთ, ბოლომდე შეინარჩუნებენ მათ.

რ. კორიძე.

სურათზე: ძალიან ბევრი ხანტერესო მომენტი შეიქმნა განვილო მატჩში. ხშირ შემთხვევაში ვერ გაარჩევდით, ვინ იყო წინა ხაზის მოთამაშე და ვინ — მცველი. აი, ახლაც, მ. ხურცილაძე და ხ. მეტრეველი (წოლებიან მაისურებში) ერთად იბრძვიან ი. ისტომინისა და ა. მახლიაველის წინააღმდეგ.

სხვათა შორის, ამ დღეს ხ. მეტრეველმა 35-მ მატჩი ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატებში.

მ. ზარგარიანის ფოტო.



## ტაშკენტში — 0:0

ტაშკენტი. „ფახთაქორის“ სტადიონი, 6 ივლისი.

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0.

„შახთაქორი“: ლიუბარცევი, დოცენკო, შტერნი, ტურგუნოვი, პეტუხოვი, ფილცინი, პატრიკევი (როლიონოვი), ისაკოვი, აბდურაიმოვი, ვარიუხინი, იბრაჰიმოვი.

„ტორპედო“: გოგია, ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ერკომაიშვილი (ქიქავა), ანფიზაძე, ვეკუა (ქორიძე), ხერხაძე, დელბა.

მსჯი ვ. ტოლიჩინსკი (ალმა-ათა).

დუბლიორები — 4:0 „ფახთაქორის“ სასარგებლოდ.

## სანდერსო ნარკვევები

სერიაში ავადმყოფებს ვარჯიშები უტარდებოდა თამაშის მოსწინის შემდეგ, ე. ი. მოტეხილობის შეზღუდვის შემდგომ პერიოდში, როცა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დაზიანებული სახსრის ფუნქციის სრულ აღდგენას და საერთო შრომისუნარიანობის დაბრუნებას. მკურნალობის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე ავტორებმა გარკვეული თანმიმდევრობით მოგვარდეს რაციონალურად გაარჩეული და მეტად საჭირო ვარჯიშები. ორივე კომპლექსი ადვილად გასაგები და ასევე ადვილად შესასრუ-



ლებულია როგორც ავადმყოფის, ისე დაზიანებული პირისთვის. ეს ნარკვევი კარგ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს. მეორე ნარკვევი თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით დიდი ინტერესს იწვევს. აქ საქმე ემება ძვალსასხროვანი აპარატის სერიოზულ და საკმაოდ ხშირ დაზიანებას. ასეთ შემთხვევაში მკურნალობის კომპლექსში სამკურნალო ტანვარჯიშის ჩართვა მეტად ეფექტურია, ვინაიდან პოლიართრიტი ავადმყოფების ძირითად ქრონიკულად დაავადებულად ითვლებიან და სანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროებათ. მეტ შემთხვევაში ეს დამოუკიდებლად

დაც ხდება, ამიტომ აღნიშნული ნარკვევის გამოხვლა მათ დიდ შედეგათს მისცემს მკურნალობის კომპლექსების დამოუკიდებლად შესრულებაში.

ავტორები ორივე ნარკვევში გასაგები ენით აშუქებენ შემოდისასელებულ ავადმყოფობათა კლინიკურ სურათს და სამკურნალო ტანვარჯიშის გამოყენების წესებს. სამკურნალო ტანვარჯიშის შესწავლისა და ათვისების გასაადვილებლად ვარჯიშის თითოეული კომპლექსი განმარტებულია არა მარტო სიტყვიერად, არამედ ილუსტრირებულია შესაბამისი ფოტოსურათებითაც. ნარკვევებში ყურადღება ექცევა, აგრეთვე ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ ავადმყოფის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობაზე კონტროლის დაწესების მის რეჟიმის საკითხებზე.

ჩანს, რომ ავტორები კარგად არიან დასმუშავებული სამკურნალო ტანვარჯიშის გამოყენების საქმეს როგორც კლინიკაში, ისე ამბულატორიულად. მძიმ ქ. ჟღერტისა და მეთოდისტ რ. კველიაშვილის ნარკვევები, რომლებშიც არა მხოლოდ ტექსტი, არამედ უხვი ილუსტრაციაც (მრავალი ფოტოსურათი) ორიგინალურია, ფართო გავრცელებას ღირებს შედუშავებას და ავადმყოფებს შორის, რომლებიც ამ ნარკვევების გაცნობით უმკველად კმაყოფილი დარჩებიან.

ზ. თაღია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

ტ. შ. ფ. წ. ბ. ქ.	ტ. შ. ფ. წ. ბ. ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	14 8 4 2 21-6 20
ცსკა	14 8 8 3 23-8 19
„დინამო“ (თბილისი)	14 7 5 2 20-8 19
„დინამო“ (კიევი)	14 8 2 4 16-10 18
პსკ (დონის როსტოვი)	14 5 7 2 10-6 17
„ტორპედო“ (მოსკოვი)	14 6 5 8 15-12 17
„ნემსინი“ (ბაქო)	15 6 6 4 15-9 16
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	14 4 7 3 21-14 15
„არარატი“ (ერევანი)	14 6 3 5 11-12 16
„ზარია“ (ვორონილოვგრადი)	15 4 6 5 7-14 14
„ტორპედო“ (ქუთაისი)	14 2 8 4 7-10 12
„დინამო“ (მინსკი)	14 8 5 6 16-17 11
„ჩარნომორაძე“ (ოდესა)	14 3 5 6 9-13 11
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	14 8 5 6 8-23 11
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	14 3 8 5 14-25 9
„შახტორი“ (დონეცკი)	14 2 5 7 10-24 9
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	14 1 5 8 12-24 2

## „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) 1:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ორბიტა“ (ბელია კალიტვა) 1:1.

## II ზონა, I კვაჯაუში

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ივლისისთვის

ტ. შ. ფ. წ. ბ. ქ.	ტ. შ. ფ. წ. ბ. ქ.
„მეტალურგი“ (რუსთავი)	12 6 5 1 15-6 17
„ტორპედო“ (ეისკი)	12 5 5 2 21-10 15
„პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი)	12 4 6 2 16-12 14
„კოლხეთი“ (ფოთი)	12 2 10 0 12-8 14
„მეზახე“ (ტყაბულო)	12 3 8 1 12-9 14
„მარცხალი“ (მასხარაძე)	12 6 2 4 14-12 14
„ბურია“ (ლაჩხუთი)	12 4 5 8 14-7 15
„სპარტაკი“ (რიაზანი)	12 5 2 5 16-13 13
„სპარტაკი“ (ხარანსკი)	12 3 6 3 9-8 13
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	12 3 6 3 7-7 13
„პახმთი“ (თელავი)	12 5 2 5 15-16 13
„მეტალურგი“ (კრასნი სულინი)	12 4 4 4 10-12 12
„სულორი“ (ვანი)	12 4 3 5 12-20 11
„დინამო“ (სოხუმი)	12 3 4 5 9-12 10
„ორბიტა“ (ბელია კალიტვა)	12 2 5 5 8-12 9
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	12 3 3 6 13-18 9
„სპარტაკი“ (ტაშკენტი)	12 1 6 5 6-12 8
„ალჯანი“ (გურჯაანი)	12 3 2 7 9-24 8

# საქართველო და მისი პრეზიდენტი

## „საქართველო ორბანიზაცია“ და მისი პრეზიდენტი

„პრეზიდენტი“ 22-ე სართლის სახურავზე მშენებელი აუზია. პრეს-ცენტრის ხმაურთან გაგრძობის შემდეგ იქ ასვლა და თბილისში ჩაქვიანება ერთ სიცოცხლედ ღირს. ურნალიზაციის არ იკლებენ ამ სიამოვნებას და აუზის ხშირი სტუმრები არიან. აქედან კარგად ჩანს რეფორმის ბუღვარი და ინსურენცების — დედამიწაზე ერთ-ერთი უგრძესი ქუჩის ნაწილი (ინსურენცები თითქმის 22 კილომეტრზეა გაბიძგებული). ორგანიზაციის აღმართულან შეხანიშნავი მრავალსართულიანი სახლები...

მეხიკოში ყველაზე განსაცვიფრებელი მანქანების ყოველივე საოცრად მონუმენტურია — შენობები, ძეგლები, ქანდაკებები, შადრევნები, ფრესკები... შეხანიშნავია ძველი და თანამედროვე არქიტექტურის შერწყმა.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 131.

მწვანეში ჩაფლული ქალაქი ძალიან ლამაზია.

... ურნალიზაცია ქვეყნის ოთხი თბილისელი ვართ: საქართველოს სახალხო არტისტი, სპორტული კომენტატორი კ. მახარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გ. ფირცხალავა, საქართველოს სპორტულ ურნალიზატა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ო. ნოზაძე და ამ სტრუქტურის ავტორი.

გ. ფირცხალავამ თავიდან ეშპურად გაცნო თავი პრეს-ცენტრის ხელმძღვანელებსა და იქ მოფუხვუსე ურნალიზატებს: ჩვენი მომსახურე რამდენიმე მინიკაბიანი ანგელოზის მგობრული შარვი დახატა. საუცხოო ნახატები გამოვიდა. და აი, მეხიკოს მთავარი გაზეთის „ექსცელსიორის“ წარმომადგენელმა მას ფეხბურთელებზე დაუკვირდა შარუები. გავლა რას დაინებოდა! მას თბილისიდან მქონდა წამოღებული პელები, რევრას, მაცოლასა

და სხვათა შარუები. იქაც რამდენიმე დამატა, მექსიკელი ფეხბურთელი ჩახატა და „ექსცელსიორის“ მუშაკს გადასცა (სხვათა შორის, კალდერონს ისე მოეწონა შარვი თავის თავზე, რომ ავტოგრაფიც მიაწერა). პელები დაუყოვნებლივ დაბეჭდეს...

... სახტუმრო „ექსპროგოში“ ჩვენს ბიჭებს ვეწვიეთ. მშენებელი გრილი საღამო იდგა და ქალაქის მუდრო ადგილზე მდებარე პატარა სახტუმრო საოცრად იდილიურ განწყობილებას ქმნიდა. პატარა, კობა უზოში შემოგვხედნენ სლავა მერტიველი, მურთაზ ხორცილა და გივი ნოღია. სლავამ თავის ოთახში მივიპატიუა, სადაც კახი ასათიანი დაგვხვდა (სლავა და კახი ერთად ცხოვრობდნენ).

დაუყოვნებლივ გაჩნდა ლომონის წვისა და კოკა-კოლას ბოთლები, დაიწყო სმე და საუბარი ფეხბურთზე. შემოვიდნენ ხმელნიციკი, პუზანი, შესტერნიოვი... მეგობრული ვითარება სუფევდა. სლავა ოხუჩოვოდა, ხმელნიციკის ვიცე-პრეზიდენტს ეძახდა წამლაწუმ, თანაც ეუბნებოდა: დაბადების დღე რატომ დავვიმადე, ერთ დიდ ტორტს გამოგიცხობდიო (ხმელნიციკის იმ დღეს 27 წელი შეუსრულდა).

— ვიცე-პრეზიდენტი რატომ ეძახი? — ვიკითხეთ.

თურმე, ერთ-ერთ გაზეთს ახეთ ცნობა გამოქვეყნებინა: კომპაგნიური და პარაფკვირული ორგანიზაციების გარდა, საბჭოთა ნაკრებში ხაილუმლო ორგანიზაცია მქონიათ, რომლის პრეზიდენტი მეტრეველი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი ხმელნიციკიაო.

ბევრი ვიციეთ...

მერე სლავამ თავისი მაგნიტოფონი ჩართა და თბილისიდან გამოგზავნილი ფირი დაატრიალა. კახის თავისი მუდრე ესაუბრებოდა, გივი ნოღიას — მისი ძმა ლევანი და სერგო კუტივაძე... მერე გაისმა ქართული სიმღერები. „ორგრას“ და ნინო ბრეგვაძის ხმის გაგონებაზე ყველამ პატარა ხევდა ვიგრძენით.

მ. პაპაბაძე.  
(ჩვენი სპეც. კორ.).  
მეხიკო — თბილისი.  
(ბაბრძელება იმწმბა)

# EXCELSIOR

EL PERIODICO DE LA VIDA NACIONAL



მელოლაგა ყველას აჯობებს

ამას წინათ ზუგდიდის დოსაფის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა სპორტის ტექნიკური სახეობების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა მცირეკალბრიანი მასშაბიდან სრულში. სეარით გუნდური I ადგილი დაიკავა ზუგდიდის სამეზაგრო ავტოსატრანსპორტო კონტრის ხაერებმა — 220 ქულა. II ადგილზე გავიდა ზუგდიდის ჩაის საწენჭი ფაბრიკის კოლექტივი — 142 ქულა, III — სააფთაქო სამმართველოს ხაერები — 132. პირად პირველობა-

ში ყველას აჯობა ს. პაპაბაძე (სააფთაქო სამმართველო) — 93 ქულა, მას 5 ქულით ჩამორჩა ქ. გავლია (ჩაის საწენჭი ფაბრიკა). მესამე იყო ლ. ხორაგა (სამეზაგრო ავტოსატრანსპორტო კონტორა) — 87. ქალთა შორის იმარგვა ნ. ჭურღულიამ (ჩაის საწენჭი ფაბრიკა) — 59 ქულა.

გ. ალშიბაია.  
(ჩვენი კორ.).  
ზუგდიდი.

## 205

◆ ტარსკოლი, 7 ივლისი.

ჩეგეტის მთის ჩრდილოეთის ფერდობზე მიმდინარეობს სსრ კავშირის ღია პირველობა სამთოსათხილამურო სპორტში „იალბუზის პრინცი“. 52 მონაწილეს შორის 5 ჩეხოსლოვაკიელი სტუმარია. გუშინ დამთავრდა შეჯიბრება ვაჟთა გვიანტურ სლალომში. I ადგილი დაიკავა ი. იანდამ (ჩეხოსლოვაკია). რომელმაც 1200-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა 300 მ, 43 კარი) ორივე ცდისას ყველაზე სწრაფად დაფარა. II ადგილზე ალმათეელი მ. ჭუსინოვი, III — კიეველი ა. ლებედვი.

**საქართველო**  
**საქართველო**  
**საქართველო**

# ზანგი სპორტსმენების ლიგა და ამერიკული დემოკრატია

კემრიპის ნებისმიერი სასწავლებლის ზანგი სპორტსმენების ლიგის სპორტი განუყოფელია დაკავშირებული პოლიტიკათა. ამის მოთხოვნის მათი ღირსება და სინდისი. უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სტუდენტის ზანგი სპორტსმენები იცავენ თავიანთ ადამიანურ ღირსებებს, მოქალაქეობრივ უფლებებს, რომლებიც მათ აშშ-ს კონსტიტუციამ მიანიჭა, იცავენ ქვეყნისა და ერის პატიოსნებასა და ერთიანობას. ეს ყველაფერი ფულზე არ იყიდება, თუმცა ზოგიერთ საქმოსანს მიაჩნია, რომ ბაზარზე ყველაფერი შეიძლება გაიტანოს. ზანგებს ვერაფერი ფული, ტრინინგების ვერაფერიანი მხარდაჭერა ვერ დაავიწყებს რასიზმს, ვერ დაავიწყებს შურადაცხროფას, რასაც მათ ყოველდღიურად აყენებენ.

ზანგთა სასწავლებელი სპორტის თითქმის ყველა სახეობის რეკორდების ცხრილებშია შეტანილი. შავკანიანი სპორტსმენები შენოსავლის საიმედო წყაროს წარმოადგენენ ყველასთვის, ვისაც სპორტი ბიზნესად სურს აქციოს. საქმოსნებისთვის ზანგი სპორტსმენი მხოლოდ მაყურებლის გართობის საშუალებაა. მათი აზრით, ესაა შავკანიანის დანიშნულება თანამედროვე საზოგადოებაში.

ამერიკის ბურჟუაზიული იდეოლოგია უმეტესობის აზრით, ზანგებს სპორტი მხოლოდ გამდიდრების გზად უნდა მიანდეთ. სხვა დანარჩენი მთავრობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

1969 წლის 15 ნოემბერს გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ განაცხადა, რომ „განრისხებული ზანგი სპორტსმენები საუნივერსიტეტო ქალაქებში უწყურიგობას იწვევენ“. ეს სიტყვა, ამასთან, შეგნებული სიტყვა იგი მხოლოდ რასიზმის ერთ-ერთ ფარულ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. იმავე სტატიაში ნათქვამია, რომ „სულ უფრო მეტი შავკანიანი სპორტსმენი ცდილობს იუკროს თავისი პრინციპებით, რათა განათლება მიიღოს“.

ეს განცხადებაც თავიდან ბოლომდე სიცილეა. ზანგი სპორტსმენები იცავენ პრინციპებს, რომელთა გარეშეც ნამდვილ განათლებაზე შეუძლებელია ლაპარაკი. ისინი იბრძვიან სწავლების კლასობრივი ბურჟუაზიული სელისკვეთებით გაუღებელი მეთოდის წინააღმდეგ. მათი ბრძოლა ამის შედეგად იქცება განათლების ისეთი სისტემის საწინააღმდეგო იარაღად, რომელიც შურადაცხროფას აყენებს როგორც ზანგებს, ისე მათს თეორეტიკან მომხრეებს. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ყოველი ღონით ცდილობს დამალოს ეს უმნიშვნელოგანესი ფაქტი.

შავკანიან ათლეტთა ბრძოლა რასიზმის წინააღმდეგ ზანგთა მოძრაობის ერთ-ერთ ფორმად იქცა. ზანგ სპორტსმენთა გამოსვლა ყველა ამერიკელი მოქალაქის დემოკრატიისა და თანასწორობის დასაცავად დღეს საერთო ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. შავკანიან ათლეტთა პოლიტიკური შეგნება ისრდება. ისინი იბრძვიან როგორც ზანგთა, ისე თეორეტიკანთა სრული განათავისუფლებისა და სოციალური თანასწორობისთვის, ამერიკული სპორტსმენთა პოლიტიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ზანგი სპორტსმენები ყველას მოუწოდებენ, რომ სათამაშო მინდორებზე და სპორტულ დარბაზებში დაცული იყოს ჰუმანური პრინციპები, რომელთაც გულმოდგინედ უვლიან ხოლმე გვერდს ლექციებში და სტუდენტურ აუდიტორიებში.

მაგრამ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ძალიან ზრუნავს ზანგ სპორტსმენთა ისეთ მომავალზე, სადაც არ იარსებებს არაფერთარი მორალური პრინციპები, სადაც ერთადერთი საზომი დოლარი იქნება. როცა ზანგ სპორტსმენთა ბრძოლას ეგება, გაზეთი აცხადებს: „ეს მოძრაობა თეორეტიკანდგურების გზის დასაწყისია. ამან გამოიწვია ბევრი შავკანიანი სპორტსმენის გაყვება და ახალგაზრდობის ნაკადის შემცირება. ამასთან, ღარიბი ოჯახების შეიღებების სტიპენდია, რომელსაც ისინი ფეხბურთის თამაშისთვის იღებენ, აუცილებელია საშუალება უმადლესი განათლების მისაღებად. შეიძლება ამ მოძრაობის განვითარებამ სელი შეუშალოს ზოგიერთი ზანგი სპორტსმენისთვის უადრესად ხელსაყრელ კონტრაქტებს“.

ჩვენ ვუბახუბრებთ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსს“: როცა ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს იცავდით, თქვენ უნებურად შეგნეთ იმას, რაც ამერიკის ეროვნულ სირცხვილს წარმოადგენს. თქვენ მოითხოვთ, რომ ზანგმა სპორტსმენებმა თა-

ვიანთი იდეალები გაყოლონ. თქვენ ცდილობთ დამალეთ, რომ თეორეტიკანი ახალგაზრდობა იბრძვის საყოველთაო დემოკრატიისთვის, ჰუმანიზმის პრინციპებისთვის. თქვენ უპირატესობას ანიჭებთ ფულს და არა იდეალებს. მაშ, რა შეიძლება ვუწოდოთ სისტემას, რომელსაც თქვენ იცავთ?

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ კიცხავს ვაიონინგის უნივერსიტეტის 14 ზანგ სპორტსმენს, რომელთაც მოითხოვეს „უნივერსიტეტის კონფერენსის“ გაერთიანებლად გაერთიანებ ბრიგადებში იანგის უნივერსიტეტის სპორტსმენთა ორგანიზაცია, რადგან ამ სასწავლებელში რასისტული შეგნებები გაგრძელდებოდა. ამ სპორტსმენების შეგნებულმა სტიპენდიებმა მოუსწრა, ხოლო ვაიონინგის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა მის უსამართლო გადაწყვეტილებას.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ სურს, რომ უმადლესი სკოლა და გელესია რასიზმის იდეოლოგიურ საყრდენად აქციოს. მაგრამ უნივერსიტეტების თეორეტიკანი სტუდენტობას არ სურს შეურთოდეს ძველ წესებს: შეიძლება მათ ბოლომდე შეგნებული არა აქვთ რასიზმის ანტი-ჰუმანური არსი; მაგრამ მაინც ცდილობენ ადამიანურ ურთიერთობას ახლებური შეფასება მისცენ.

ჯესი ოუენის, ჯო ლუისის, ვილი მენსებისა და სხვათა დრო წავიდა. დღეს ზანგები ამერიკას აძლევენ არა მარტო დიდ სპორტსმენებს, არამედ დიდ ამერიკულ მოქალაქეებსაც, დიდ ადამიანებს.

ზანგები იბრძვიან არა მარტო საკუთარი უფლებებისთვის, არამედ ყველა ამერიკელის ჰუმანიტური თავისუფლებისთვის. მათ ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდებათ. ზანგები იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისთვის, ერის ერთიანობისთვის. მაგრამ ვიდრე რასიზმი უმადლეს სკოლებში, გელესიებში, მრეწველობაში და მთავრობაში პოლიტიკის სინამდღეზე დგას, ეს მიზნები მიუღწეველი რჩება.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობენ გაეღებონ მომადლესი შავკანიანთა შეგნებზე. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ცდილობს მიჩქაროს ზანგთა მოძრაობა, ეს კი დაუშვებელია. ამ მოძრაობას მეტი ძალა უნდა მიეცეს, მისი მონაწილეების მსოფლმშვიდველობის არე უნდა გაფართოვდეს. მათ მუშათა შორისაც უნდა გაუჩნდნენ მომხრეები.

საუნივერსიტეტო ქალაქებში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მომავალი აქვს. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ რასიზმის დამარცხება შესაძლებელია.

**უილიამ პატარსონი,**  
აშშ-ს კომპარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.

## რედაქტორი მ. პაპაბაძე

### R3261

**საქართველო**  
**საქართველო**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევებისა.

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 93-58-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიქტურული და მისწავლელ და სოფლის-ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 93-58-17, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ქაღალდის განყოფილება — 93-97-57, წიგნების განყოფილება — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-53, გამოცემები — 93-98-51.